

გენდერული ანალიზი

საინფორმაციო ცნობარი

რა არის გენდერული ანალიზი?

გენდერული ანალიზი ქალებსა და კაცებს შორის არსებულ შესაძლო განსხვავებებს შეისწავლის, მათი განსხვავებების, საჭიროებების, საზოგადოებრივი და ოჯახური როლების, რესურსებზე ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ჩართულობის კუთხით.(ევროკომისია, 1998).

გენდერული ანალიზი სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1 **შინაარსი – რა?**
გენდერული ანალიზის შედეგად უნდა გამოვლინდეს ქალებს, კაცებსა და აღნიშნული კატეგორიის ქვეჯგუფებს შორის არსებული განსხვავებები.

2 **მიზეზები – რატომ?**
მას შემდეგ, რაც გამოვლინდება ქალებსა და კაცებს შორის არსებული განსხვავებები, უნდა დადგინდეს მიზეზები, თუ რატომ არსებობს აღნიშნული განსხვავებები. იმ შემთხვევაში, თუ მიზეზების იდენტიფიცირება შეუძლებელია, დამატებითი კვლევის ჩატარებაა აუცილებელი.

3 **შედეგები – რისთვის?**
გენდერული ანალიზის შედეგად უნდა გაანალიზდეს ქალებსა და კაცებს შორის არსებული განსხვავებებით გამოწვეული შედეგები. რა ზეგავლენას ახდენს აღნიშნული განსხვავებები ქალებზე, კაცებზე და აღნიშნული კატეგორიის ქვეჯგუფებზე? წარმოადგენს თუ არა არსებული განსხვავებები ბარიერებს ქალებისთვის, კაცებთან შედარებით, გოგონებისთვის ბიჭებთან შედარებით და პირიქით? თუ კი, რა არის აღნიშნული ბარიერები?

**ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ორგანიზაცის ნირასი და
შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.**

რა არის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი“?

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი“ (EU4Gender Equality Reform Helpdesk), მოთხოვნის შესაბამისად დახმარებას უწევს სახელმწიფო უწყებებს[1] და ევროკავშირის დელეგაციებს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში,[2] პოლიტიკის შემუშავებისა და რეფორმების დანერგვის პროცესებში გენდერული მეინსტრიმინგის კუთხით, ქალებისა და კაცებისთვის ეფექტიანი შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მიზნობრივი აუდიტორია

აღნიშნული ცნობარის გამოყენება შეუძლია ყველას, ვინც ჩართულია სამართლებრივი აქტების, პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში. (სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები, ევროკავშირის დელეგაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვა საერთაშორისო პარტნიორები), რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და მის ფარგლებს გარეთ სარგებლის მოტანას ისახავს მიზნად. მისი გამოყენება შეუძლიათ ასევე მკვლევარებს, აკადემიური წრეებისა და მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებიც იკვლევენ ან/და ამზადებენ ანგარიშებს კანონმდებლობის, პოლიტიკისაა და პროექტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

---

[1] ბელარუსში რეფორმების ტექნიკური ჯგუფი მხოლოდ ევროკავშირის დელეგაციას უწევს დახმარებას.
[2] აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) ევროკავშირის, მისი წევრი ქვეყნების და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი პარტნიორი ქვეყნის: სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის, ერთობლივი ინიციატივაა.

ევროკავშირი საქართველოსთვის

ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი

ახორციელებს

NIRAS

გენდერული ანალიზის მიზანია მტკიცებულებების შეგროვება, კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების შემუშავებისთვის, რომელთა სამიზნე ქალები და კაცები იქნებიან. იმისათვის, რომ აღნიშნული ჩარჩოს მეშვეობით ეფექტიანად მოხდეს სამიზნე ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება, უნდა გაანალიზდეს ის განსხვავებები, რასაც ქალები, კაცები და აღნიშნული კატეგორიის ქვე-ჯგუფები აწყდებიან. ამგვარად, გენდერული ანალიზის შედეგად კანონები, პოლიტიკა, პროგრამები და პროექტები უნდა გახდეს გენდერულად მგრძნობიარე, ან, უფრო მეტიც, გენდერულად ტრანსფორმაციული.

გენდერულად მგრძნობიარე კანონები, პოლიტიკა, პროგრამები და/ან პროექტები ითვალისწინებენ ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებებსა და პერსპექტივებს და აღიარებენ მათ შორის არსებულ განსხვავებებსა და ბარიერებს. გენდერული ტრანსფორმაციულობა ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების როლებისა და პასუხისმგებლობების შეცვლის (ტრანსფორმაციის) მცდელობას ნიშნავს, რაც მათ შორის არსებული განსხვავებებისა და დაბრკოლებების გამომწვევი მიზეზია. საბოლოო მიზანი, პოლიტიკურ და სხვა პროცესებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა და თანაბარი სარგებლის მიღებაა.

გენდერული ანალიზის მთავარი ამოცანებია:

- ქალებს, კაცებს და მათ ქვე-ჯგუფებს შორის, ყველა სფეროში არსებული განსხვავებებისა და დაბრკოლებების გამოვლენა.
- იმ დაბრკოლებების გამოკვეთა, რომლებიც ხელს უშლის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელ ქალებსა და კაცებს სრულად ისარგებლონ და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში.
- იმ შესაძლებლობების გამოვლენა, რაც ქალებისა და კაცების სპეციფიკური ჯგუფების პოლიტიკისა და სხვა პროცესებში ჩართულობას უკავშირდება.
- ქალებისა და კაცებისათვის, მათი განსხვავებების გათვალისწინებით, თანაბარი სარგებლის უზრუნველყოფა.
- გენდერულ ანალიზს ბევრი საერთო აქვს გენდერული გავლენის შეფასებასთან (GIA), რაც ნებისმიერი დაგეგმილი აქტივობის, მათ შორის კანონმდებლობის, პოლიტიკის, თუ პროგრამების გენდერულ გავლენას აფასებს. თუმცა, გენდერული ანალიზი და გენდერული გავლენის შეფასებსა სხვადასხვა პროცესია: გენდერული ანალიზი აფასებს არსებულ მდგომარეობას, გენდერული გავლენის შეფასების მეშვეობით ფასდება კანონების, პოლიტიკისა და პროგრამების სამომავლო შესაძლო გავლენა გენდერულ თანასწორობაზე.

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული ანალიზი?

გენდერული ანალიზი გენდერული თანასწორობის წინაპირობაა, გენდერული თანასწორობა კი საერთაშორისო სამართლებრივ აქტებითაა აღიარებული, რომელთა დაცვაც აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ვალდებულებაა, მათ შორის:

1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW), 1979.
2. პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, 1995.
3. გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია (UNSCR) 1325 ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება (WPS), ასევე ამავე საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს ცხრა დამატებითი რეზოლუცია.
4. 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და მისი მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs).

გლობალურ დონეზე, სპეციფიკური ინსტრუქციები გაეროს სხვადასხვა სააგენტოს სახელმძღვანელოებშია მოცემული. მაგალითად, UNDP-ის სახელმძღვანელო ჩანაწერი, თუ როგორ უნდა ჩატარდეს გენდერული ანალიზი, ეხება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ყველა ინიციატივას, რაც კონკრეტულ კონტექსტში გენდერული ანალიზის ჩასატარებლად მოთხოვნებს და რეკომენდაციებს აყალიბებს.

ევროკავშირში (EU) გენდერული ანალიზის შესახებ მიმართულებები განსაზღვრულია 2020–2025 წლების ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში საგარეო ურთიერთობებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების (GAP III) შესახებ. GAP III მოითხოვს "სამომავლო ქმედებების განსასაზღვრად, გენდერული ანალიზის ჩატარებასა და განახლებული მონაცემებით გადაწყვეტილების მიმღები პირების აღჭურვას", როგორც მინიმალურ სტანდარტს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ყველა პროგრამის შემუშავებისთვის. გენდერული ანალიზის ჩატარება საჭიროა გენდერული უთანასწორობისა და გენდერული ნიშნით გამოწვეული დისკრიმინაციის მიზეზების გამოსავლენად და მათი გადაჭრის მიზნით- შესაბამისი ზომების მისაღებად.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების სამართლებრივ ჩარჩოებში არსებობს დებულებები გენდერული ანალიზის შესახებ. სომხეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ მიიღეს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონები და დამატებითი სამართლებრივი აქტები, რის საფუძველზეც გადაწყვეტილების მიმრებ პირებს გენდერული ანალიზის ჩატარების ვალდებულება ეკისრება. ეს ქვეყნები გასული ათწლეულების განმავლობაში ცდილობდნენ დაენერგათ ისეთი გენდერული პოლიტიკა, რომელიც გენდერული ანალიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილ მიგნებებზე იქნებოდა დაფუძნებული.

გენდერული ანალიზის უპირატესობები თვალსაჩინოა. მსგავსი ანალიზი პოლიტიკის შემქმნელებს ეხმარებათ პოლიტიკისა და პოლიტიკური პროგრამების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასებისას პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა ეტაპზე ქალებისა და კაცების საჭიროებების, ინტერესებისა და გამოცდილების გათვალისწინებაში.

როგორ ტარდება გენდერული ანალიზი?

უმჯობესია გენდერული ანალიზი პოლიტიკის ან პროგრამების განსაზღვრის ან ჩამოყალიბების ეტაპზე უნდა ჩატარდეს, რათა ანალიზის შედეგად გამოვლენილი მიგნებების დანერგვა შესაძლებელი იყოს პოლიტიკისა და პროგრამების შექმნის პროცესში. როგორც წესი, გენდერული ანალიზი შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს:

1

ნაბიჯი 1: დარწმუნდით იმაში, რომ გენდერული ექსპერტიზის ჩატარება პოლიტიკის/პროგრამების ჩამოყალიბების ეტაპზეა შესაძლებელი. ხშირ შემთხვევაში, ეს პროცესი გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტების სამუშაო ჯგუფებში ან ისეთ სტრუქტურებში მოწვევას გულისხმობს, რომლებიც აყალიბებენ და ნერგავენ პოლიტიკასა თუ პროგრამებს. გენდერის ექსპერტს უნდა ჰქონდეს ცოდნა ქალების, კაცებისა და მათი ქვე-ჯგუფების საჭიროებების შესახებ, იმ კონტექსტში, რაშიც აღნიშნული პოლიტიკა თუ პროგრამა ყალიბდება. მას ასევე უნდა ჰქონდეს ცოდნა და გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა მსგავსი საჭიროებების გათვალიწინება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მსგავსი პოლიტიკისა თუ პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და დანერგვის ეტაპებზე.

2

ნაბიჯი 2: შეაგროვეთ სქესის მიხედვით სეგრეგირებული სტატისტიკა და მონაცემები ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში. აღნიშნული სტატისტიკა ეროვნული სტატისტიკის სამსახურის და სხვა სააგენტოების მიერ იწარმოება. დამატებით მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების (NGOs), აკადემიური და კვლევითი ინსტიტუციებისა და საერთაშორისო პარტნიორების მიერ ჩატარებული სპეციფიკური გენდერული შეფასებები.

3

ნაბიჯი 3: იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საკითხის შესახებ ინფორმაცია ან მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, ჩაატარეთ კონსულტაციები (ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები ქალებთან და კაცებთან და ა.შ) და სწრაფი შეფასებები/კვლევები, მაშინ, როცა ეს შესაძლებელია.

4

ნაბიჯი 4: ჩაატარეთ ანალიზი, რომელიც ფოკუსირდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორებიცაა:

შინაარსი	ეკონომიკა , როლების გადანაწილება	რესურსები	ძალაუფლება	ბენეფიციარები
რა ნორმები და ღირებულებები არსებობს ქალებისა და კაცების როლებისა და ვალდებულებების გადანაწილებასთან დაკავშირებით? რამდენად გადამზადებულნი არიან და რა დონის განათლება აქვთ მიღებული ქალებს, კაცებს, ბიჭებსა და გოგონებს? არსებობს თუ არა განსხვავება ქალებს, კაცებს და მათი კატეგორიების ქვე-ჯგუფებს შორის, რესურსებთან, ძალაუფლებასთან, განათლებასთან, შრომის ბაზართან თუ სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით? გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული რა სახის შეხედულებები, წარმოდგენები და სტერეოტიპები არსებობს?	ვინ რას აკონტროლებს? არსებობს თუ არა ეკონომიკური ნიშნით რაიმე პოტენციური განსხვავება ქალებს, კაცებს და მათი კატეგორიების ქვე-ჯგუფებს შორის?	ვის მიუწვდება ხელი რესურსებზე? (მაგ. ფინანსური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული, სივრცითი, დროის რესურსები და ა.შ.)? ვინ აკონტროლებს რესურსებს? ვინ სარგებლობს რესურსებით? ვის მიუწვდება ხელი განათლებაზე, ტექნიკურ ცოდნაზე, და/ან კვალიფიკაციის ამაღლებაზე?	გადაწყვეტილების მიღების რა პროცესები მიმდინარეობს შინამეურნეობაში, საჯარო სექტორსა და კორპორატიულ სექტორებში? რა როლი აქვთ ქალებს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესებში? რამდენად მონაწილეობენ ქალები პოლიტიკურ პროცესებში?	რამდენად ითვალისწინებს პოლიტიკა ან პროგრამები ქალებისა და კაცების პრაქტიკულ და სტრატეგიულ საჭიროებებს? რა გავლენა აქვს გენდერული თანასწორობის საკითხებს პოლიტიკისა და პროგრამების ფორმირების, განვითარებისა და დანერგვის ეტაპებზე?

გენდერული ანალიზის შედეგები შეჯამებულია იმ მიგნებებში, რომლებიც ხაზს უსვამს:

1. კონკრეტულ სფეროებში არსებულ გენდერულ დისბალანსს.
2. იმ დაბრკოლებებს, რაც ხელს უშლის ქალებს, კაცებს და მათი კატეგორიების ქვე-ჯგუფებს წვლილი შეიტანონ პოლიტიკურ პროცესებში ან ისარგებლონ პოლიტიკის შედეგით.

შემდეგ ეტაპზე, აღნიშნული მიგნებების საფუძველზე ყალიბდება შეთავაზებები – სპეციფიკური სტრატეგიები, ნაბიჯები და ინტერვენციის გზები- გამოვლენილი ბარიერების აღმოსაფხვრელად.

კარგი პრაქტიკის მაგალითები

გენდერული ანალიზი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფის“ (EU4Gender Equality Reform Helpdesk) მუშაობის განუყოფელი ნაწილია. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უახლესი კარგი პრაქტიკის მაგალითებია:

- 2021 წელს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის დელეგაციებისათვის სამოქმედო დოკუმენტების ჩამოყალიბების ეტაპზე განხორციელდა გენდერული ანალიზი, რომლის მეშვეობით გამოიკვეთა ის დაბრკოლებები, რასაც ქალები და კაცები სხვადასხვა სფეროებში აწყდებიან, როგორებიცაა:
    - მეწარმეობაში ქალების არასაკმარისი ჩართულობა.
    - გენდერული ბარიერები გადასახადებთან მიმართებაში; შრომის ბაზარზე ქალთა დისკრიმინაცია; მაღალანაზღაურებად პოზიციებზე ქალთა მცირე წარმომადგენლობა, მათ შორის, მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, ინჟინერიასა და მათემატიკაში (STEM); კაცების მცირე წარმომადგენლობა ისეთ პროფესიებში, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური სერვისები.
    - გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების სიმრავლე.
    - სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა.
    - ქალებთან შედარებით, კაცების გაცილებით მოკლე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.
- უკრაინის ომის შედეგების გენდერული ანალიზი: განხორციელდა უკრაინის 2022 წლის აღდგენის გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი 24 სხვადასხვა მიმართულებით, იმისთვის, რომ მომხდარიყო ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება და აღდგენის პროცესში მათთვის თანაბარი სარგებლის მიღების უზრუნველყოფა. რეფორმების ტექნიკური ჯგუფის ექსპერტების ჩართულობით გამოვლინდა ქალების და კაცების წინაშე არსებული ბარიერები ისეთი მიმართულებით როგორებიცაა, ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში, ქალთა მცირე წარმომადეგნლობა მეწარმეობასა და მაღალნაზღაურებად პროფესიებში, კაცების ნაკლები ჩართულობა ბავშვსა და ოჯახის სსხვა წევრებზე ზრუნვის პროცესში, შეიარაღებული კონფლიქტისა და იძულებითი გადაადგილების შედეგად წარმოშობილი სპეციფიური საფრთხეები ქალებისა და გოგონებისთვის.

სასარგებლო ბმულები:

- EU4Gender Equality Reform Helpdesk project page- „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფის“ პროექტის გვერდი.
- Gender Equality Library- გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკა
- EU Neighbours East website- ევროკავშირის აღმოსავლეთის მეზობლების ვებ-გვერდი.

ეწვიეთ გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკას

© ევროკავშირი 2023